სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
შაბათი
18
მაისი
№ 59 (10452)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაიმარჯვოს მხოლოდ ღირსეულმა

საქართველოს რესპუბლიკის უახლესი ისტორიის ფურცელი უნდა შეივსოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით—ესაა პრეზიდენტის საყოველთაო, თავისუფალი არჩევნები, მიგვაჩნია, რომ თავისთავად ეს მოვლენა დემოკრატიის ნამდვილი ზეიმია. კანონით საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს აქვს კონსტიტუციური უფლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ ზნეობრივი უფლება არ უნდა ჰქონდეს იმ პირებს, რომლებსაც თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დროს დაუშვიათ მორალური კომპრომისი, ისეთი ქმედებანი, რაც ქრისტიანული ზნეობის თვალსაზრისით გაიკიცხება.

ჩვენი აზრით, საქართველოს თავისუფლებისათვის უკომპრომისო მებრძოლი გახლავთ ბატონი ზვიად გამსახურდია. ამისი დასტურია მისი ოჯახური ტრადიციები, ბიოგრაფია, განსწავლულობა, შეურიგებელი ბრძოლა დიადი იდეის განსახორციელებლად, ცოდნა სტრატეგიული და ტაქტიკური გზებისა, პოლიტიკური ალღო, ადამიანთა უფლებების დამცველის საერთაშორისო სახელი.

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება და ალმანახ „ენგურის" რედაქცია მხარს უჭერს ბატონ ზვიად გამსახურდიას. მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტის პოსტზე მისი არჩევა ეროვნული საქმის გამარჯვება იქნება.

საქართველოს მწერალთა კავშირის ზუგდიდის რეგიონალური განყოფილება და ალმანახ „ენგურის" რედაქცია.

---

მართვის დირექტიულმა სტილმა ბევრი სიმახინჯე დაგვიტოვა სახალხო მეურნეობაში. ავიღოთ თუნდაც სოფლიდან მშრომელთა ქალაქად მიგრაციის პრობლემა. პირდაპირ ავალებდრუნდებიან. ეს პროცესი უნდა წავახალისოთ კიდეც. იმედის თვალით შევყურებ უმოკლეს ვადაში მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებას. იგი სინათლეს შეიტანს ამ ურთულეს საკითხში.

## ერთიანი ძალით ავაღორძინოთ

წენ ახალგაზრდებს მიეტოვებინათ კერა და წასულიყვნენ ფაბრიკა-ქარხნებში. ჩვენს კინომაყურებელს ახსოვს ფილმები: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „საბუდარელი ჭაბუკი" და სხვა. ასე თანდათან მუშა-ხელის გარეშე დარჩა ჩვენი მარჩენალი მიწა. ამ საქმეს უნდა ეშველოს. სხვანაირად ურბანიზაციის მარწუხებიდან თავს ვერ დავაღწევთ.

ამ ბოლო ხანებში სასიკეთო ტენდენცია შეიმჩნევა. ეკონომიკური სიძნელეებით შეფიქრიანებული ადამიანები სოფელს უბრაც მთავარია, წერტილს დაუსვამს ქალაქების გადატვირთვას. სოფლის ცხოვრების დონე თანდათან გაუთანაბრდება ქალაქისას.

მივუბრუნდეთ მეგობრებო ჩამქრალ კერებს, მიტოვებულ ბუდეებს. მთას, ხევს, ტყესა და მდინარეს, სათიბსა და საძოვარს მზრუნველი ხელი სჭირდება.

ჩვენი მამულის ყოველ კუთხეკუნჭულს ახალი სიცოცხლე უნდა მივანიჭოთ.

ა. არნანია.
ჩვენი კორ.

---

ქალაქ ზუგდილისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურამ დააკმაყოფილა ურიცკის ქუჩის მცხოვრებთა თხოვნა და ამ ქუჩას ეწოდა სამაჩაბლოში ტრაგიკულად დაღუპული ჯანო დუროუ ძე რაფავას სახელი.

## არჩევანში არ შეცდება

დრო მიდის, იცვლება ცხოვრება და იცვლებიან ადამიანები. დაგვიძვირდა მომღიმარი სახეები. ყოველ ჩვენთაგანს გამოუთქმელი წაღველი დაუფლებია, დაგვმძიმებია ისედაც დამწუხრებული გული.

შიდა ქართლში დატრიალებულმა შემზარავმა ტრაგედიამ კიდევ უფრო გააღრმავა ჩვენი წყლულები. რამ გააბოროტა ასე ჩვენს კალთას შემოფარებული ადამიანები, რომ ცოცხლად დაწვისთვის გვიმეტებენ. ცდიდება ჩვენს მოთმინებას, შირთამენა ხომ ოდითგანვე დაგვანათლა ბუნებამ. მოთმინება გვმართებს კვლავაც, რადგან ურთიერთულეტას კრემლი ახალ პოლიტიკას დაუკავშირებს და თვითონ გამშველებლად მოგვევლინება.

დღეს საქართველო დამოუკიდებლობის გზას ადგას. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა. იგი ხალხის რჩეულია და ვინც მის წინააღმდეგ ხელს აღმართავს, საქართველოს მტრად უნდა მივიჩნიოთ.

1921 წლის შემდეგ ჩვენმა ერმა პირველად გამოხატა თავისი ჭეშმარიტი ნება 1990 წლის 28 ოქტომბერს. ეს დღე ჩვენს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. მრავალპარტიული არჩევნები რეალური ნაბიჯია საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე.

ახლოვდება 26 მაისი—საქართველოს პრეზიდენტის არჩევის დღე. ვფიქრობ ხალხი არ შეცდება თავის არჩევანში, ხმას მისცემს ერისათვის წამებულ რაინდს ზვიად გამსახურდიას.

ნ. ჯგუშია.

## „გაზიარებული ჭირი—ნახევარი ჭირი"

მრავალჭირნახული საქართველო კვლავ გასაჭირშია. მიწისძვრისაგან უსახლ-კაროდ დარჩენილ ადამიანებს მოძმეთათვის მიუპყრიათ შიშითა და იმედით სავსე თვალები.

აბა, ის რა ქართველია, ჭირში მყოფ ძმას ხელი არ გაუმართოს, შიოდეს და პური არ აჭამოს, ციოდეს და არ გაათბოს, ძალღონე არ მოაკრებინოს, გულგატეხილს ნუგეში არ სცეს.

სწორედ სიკეთის ქმნის სურვილმა და მამულიშვილური მოვალეობის გრძნობამ გადააწყვეტინა ჩვენი სკოლის ხელმძღვანელობას (დირექტორი ვ. კოდუა) ჩასულიყო ონისა და ამბროლაურის რაიონებში და საჩუქრებიც ჩაეტანა. ჩვენი სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობა ყოველ ღონეს ხმარობს გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად. ღიდძალი სურსათი, ჩასაცმელ-დასახურავი გავუგზავნეთ ჩვენს თანატოლებს.

მოსწავლეთა უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა თავიანთ ოჯახებში მიიღოს უსახლ-კაროდ დარჩენილი თანატოლები, სითბო და ალერსი არ მოაკლოს მათ.

ონის რაიონის სოფელ პიპილეთში საშუალო სკოლა დაუნგრევია გამძვინვარებულ სტიქიას, ღვთის შეწევნით მოსწავლეები და მასწავლებლები გადარჩენილან. ჩვენი ვალია და სხვებსაც მოვუწოდებთ დახმარება და თანადგომა აღმოუჩინონ მათ და არა მარტო მათ, ყველა ჩვენს თანატოლს, რომელიც სტიქიამ ცის ქვეშ დატოვა. ასე ხალხური სიბრძნეც ამას გვასწავლის: „გაზიარებული ჭირი ნახევარი ჭირია".

თეა ადამია,
ქ. ზუგდიდის № 8 საშუალო სკოლის მე-11 (ბ) კლასის მოსწავლე.

## შევიფარებ ერთ ოჯახს

საქართველოს, ამ ძნელბედობის ჟამს, კიდევ ერთი უბედურება დაატყდა თავს. მიწისძვრამ აუნაზღაურებელი მსხვერპლი და ზარალი მოგვაყენა ქართველებს. დაინგრა ქალაქები, მიწის პირიდან აღიგავა სოფლები.

სწორედ ამ ავბედობის ჟამს უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს გვერდით, ნუგეში ვცეთ დაღუპულთა ოჯახებს, ჩვენი მატერიალური დახმარებით ცოტათი მაინც შევუმსუბუქოთ გასაჭირი, კარი გავუღოთ უსახლკაროდ დარჩენილებს, შევიფაროთ, მოვეფეროთ, ცრემლი მოვწმინდოთ ცისქვეშ დარჩენილებს.

პირადად მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრი მზადაა შევიფაროთ სტიქიით დაზარალებულთა ერთი ოჯახი.

მელენტი ახალაია,
დარჩელის მეურნეობის დირექტორი.

## მობრძანდით, გელით

მეც და ჩემი ოჯახის თითოეული წევრი შეგვძრა და დაგვზაფრა ნგრევამ და უბედურებამ, რომელიც მიწისძვრისაგან თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებს. მზად ვართ შევიფაროთ და ვუმასპინძლოთ უსახლკაროდ დარჩენილ ერთ ოჯახს. ჩვენი მისამართია: ქ. ზუგდიდი, ლომთათიძის ქუჩის პირველი შესახვევი № 4.

აგესალომ ოუჯავა.

## კოოპერატორთა წვლილი

უბედურება, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს რიგ რაიონებს, საკუთარი გასაჭირივით აღიქვა მრავალდარგოვანი დამოუკიდებელი კოოპერატივ „პარტნიორი-90"-ის თითოეულმა წევრმა.

კოოპერატორებმა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდში 1000 მანეთი ჩარიცხეს, კოოპერატივის თავმჯდომარემ სერგო დარასელიამ კი ერთი თვის ხელფასი—197 მანეთი გაიღო.

გ. გოსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

**აბასთუმანი**
**საარჩევნო უბანი № 1**

თავმჯდომარე: ლატარია მოკვნა—წმინდა ილია მართლის საზოგადოება;
მოადგილე: კორძაია თამაზი—მ. კოსტავას საზოგადოება;
მდივანი: ჯამბურია ირა—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია;

წევრები:

კორძაია გელა— ჰელსინკის კავშირი;
ჯანხოთელი ბაატა—ეროვნულ-ლიბერალური პარტია;
როგავა გია—ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.
ტურავა ნესტანი—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
ქუტალია ვახტანგი—ბლოკი „თავისუფლება".
ხუბუტია ნუგზარი—საქართველოს სახალხო ფრონტი.
ხუბულავა აბელი—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**ანაკლია**
**საარჩევნო უბანი № 2**

თავმჯდომარე: აბულაძე ჟუჟა—ჰელსინკის კავშირი.
მოადგილე: ესართია ელგუჯა—მ. კოსტავას საზოგადოება.
მდივანი: ფოფხაძე ნანი—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წევრები:

შენგელია ნუგზარ—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
შელია მერაბ—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
ხალვაში ბორის— ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ხურცილავა ზაირა—ეროვნულ ქრისტიანული პარტია.
ტაბატაძე ზურაბ—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
ბარამიძე ზურაბ —ბლოკი „თავისუფლება".
ჩილაჩავა რომეო—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ახალაბასთუმანი**
**საარჩევნო უბანი № 3**

თავმჯდომარე: ქადუა ნონა—მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: ხარებავა გურამ—ჰელსინკის კავშირი.
მდივანი: ქადარია ნათელა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წევრები:

ქობალია გერონტი—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
თოდუა ჯამბული—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
ქადარია ზაალ—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ქადარია ვასო—ეროვნულ-ქრისტიანული კავშირი.
თოდუა გოგი—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
ბოჭორიშვილი ელისო—საქართველოს სახალხო ფრონტი.

**ახალკახათი**
**საარჩევნო უბანი № 4**

თავმჯდომარე: ქარდავა გენო—მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: შენგელია თენგიზ—ჰელსინკის კავშირი.
მდივანი: სურმავა ეკატერინე, წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები:

ნანეიშვილი ზურაბ—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
თორია ვახტანგი—საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
ფიფია სოსო—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
აბსანძე მანონ—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
ხუფენია ციალა—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
მამფორია ნარგიზა—ბლოკი „თავისუფლება".
ქანთარია ტარიელ—სახალხო ფრონტი.

**ახალსოფელი**
**საარჩევნო უბანი № 5**

თავმჯდომარე: კუკავა ჯუმბერ— მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: ყუფუნია ბესიკ—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
მდივანი: ესებუა როლანდ—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი

წევრები:

კიტია ეთერი—ჰელსინკის კავშირი.
დუმბაძე ბონდო —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
როგავა გვანჯი—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
ჯგუშია ფრიდონი —ჰელსინკის კავშირი.
უბილავა გურამ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
ლატარია თემურ—ბლოკი „თავისუფლება".
მჟარულა ჟორა— სახალხო ფრონტი.

**კოლხიდა**
**საარჩევნო უბანი № 6**

თავმჯდომარე: დარასელია ილდარი —ჰელსინკის კავშირი.
მოადგილე: ქადარია ბესიკ—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
მდივანი: ნადარაია ანზორ—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები:

დარასელია მამუკა—მ. კოსტავას საზოგადოება.
ჯაბუა თამაზი —ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
როგავა ნოდარ —ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
დარასელია თენგიზ—ეროვნულ ქრისტიანული პარტია.
ქადარია მედიკო—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
ნემსაძე ალგორი—ბლოკი „თავისუფლება".
კილასონია ქეთევან —სახალხო ფრონტი.

**განმუხური**
**საარჩევნო უბანი № 7**

თავმჯდომარე: ბერტაია სოსო —ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
მოადგილე: ახალაია რამინ—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
მდივანი: შაშანიძე მთვარისა—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები:

ბაჩილავა რინოს —ჰელსინკის კავშირი.
ნარმანია ზოია—მ. კოსტავას საზოგადოება.
ჯალაღონია მედიკო —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
მანია ნარგიზა—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
ქვარაია ნინო—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
შელია უჯდანი—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**გრიგოლიში**
**საარჩევნო უბანი № 8**

თავმჯდომარე: კორთუა გრიგოლ—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
მოადგილე: ხაბურზანია ჯემალ—ჰელსინკის კავშირი.
მდივანი: კვარაცხელია ინეზა—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

წევრები:

ლაგვილავა მურთაზ—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
კანკია გურამ —მ. კოსტავას საზოგადოება.
ესებუა დათო—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი,
ლემონჯავა ნინელი— ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ესებუა გულადი— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
თირქია როინ—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**დარჩელი**
**საარჩევნო უბანი № 9**

თავმჯდომარე: კალანდია ბეჟანი—ჰელსინკის კავშირი.
მოადგილე: ჩუხუა რუსიკო—უპარტიო.
მდივანი: შენგელია ინეზა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წევრები:

ხუფენია იური—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
ხუბუა ნინო—ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირი.
არნანია ანატოლი—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
არნანია გენადი—უპარტიო.
ბერაია ია—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
შელია ბოჩია—მ. კოსტავას საზოგადოება.
დიდიშვილი მადონა—საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია.
დულათავა ნუნუ —უპარტიო.

**ტელმანი**
**საარჩევნო უბანი № 10**

თავმჯდომარე: ახვლედიანი გიგლა—ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირი.
მოადგილე: ბიგვავა ბესიკი —ეროვნულ-ქრისტიანული კავშირი.
მდივანი: შონია თამარი—უპარტიო.

წევრები:

არნანია არსენი—მ. კოსტავას საზოგადოება.
ზარქუა გელა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ღურწკაია ვენერი—ჰელსინკის კავშირი.
ხუფენია მურმანი —საქ. დამოუკიდებელი კომპარტია.
კუხალეიშვილი ლევანი—უპარტიო.
ხუფენია ედემი—წმ. ილია მართლის საზოგადოება.

**კიროვი**
**საარჩევნო უბანი № 11**

თავმჯდომარე: ყალიჩავა ზურაბი—მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: ანდრიაძე ვიქტორი—უპარტიო,
მდივანი: პაჭკორია ეკა—უპარტიო.

წევრები:

ხუფენია მიმოზა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ანდრიაძე ზაზა —ეროვნული ფრონტი რადიკალური კავშირი,
ცქიბაია ვლადიმერი —ჰელსინკის კავშირი.
გვაჯაია ელგუჯა—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
გაგუა ზური—უპარტიო.
ჯანაშია ნატრული— საქ. დამოუკიდებელი კომპარტია.
შამუგია დათო—უპარტიო სსფ.

**დიდინეძი**
**საარჩევნო უბანი № 12**

თავმჯდომარე: ჯღარკავა ავთანდილ—ჰელსინკის კავშირი
მოადგილე: კუკავა თემურ—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
მდივანი: კუტალია კობა—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

წევრები:

ესართია ალბერტი—მ. კოსტავას საზოგადოება,
კუკავა მერაბ — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
ცაავა ალბერტ—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ჭითანავა თენგიზ—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
კუკავა რეზო —ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
კუკავა ნუგზარი —სახალხო ფრონტი.

**ერგეტა**
**საარჩევნო უბანი № 13**

თავმჯდომარე: ჩიქობავა რეზო—ჰელსინკის კავშირი.
მოადგილე: გვილია ვახტანგ ეროვნულ-ქრისტიანული პარტია,
მდივანი: ბაგათელია ლალი ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წევრები:

მამფორია ქეთინო—წმ. ილია მართლის საზოგადოება.
გვილია როლანდ—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
მამფორია კლარა—ჰელსინკის კავშირი.
იზორია ბაჩუკი—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია,
ავალიანი ანზორ—ბლოკი „თავისუფლება".
აბსანძე რობერტ—სახალხო ფრონტი.
ჭედია ლეონტი—მ. კოსტავას საზოგადოება.

**ინგირი**
**საარჩევნო უბანი № 14**

თავმჯდომარე: კანკია ბაჩუკი—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
მოადგილე: ქარჩავა ელგუჯა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
მდივანი. ბერულავა ნატო—ჰელსინკის კავშირი.

წევრები:

ქადარია ბადრი— წმინდა ილია მართლის საზოგადოება,
წურწუმია ბადრი—მ. კოსტავას საზოგადოება.
ბიგვავა ბადრი—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
ქირია მამუკა—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ყალიჩავა კოტე—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
ბაკარაძე ტარიელი — ბლოკი „თავისუფლება".
ბარამია მაია—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ოირემე**
**საარჩევნო უბანი № 15**

თავმჯდომარე: ჯიჯელავა გურამ—მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: ქარჩავა გოგი—ჰელსინკის კავშირი.
მდივანი: კანკია ნანული—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

წევრები:

ჭეჟია კუკური—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.
ჭითანავა ჯუმბერი—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
ცაავა მამუკა—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი
არახამია ალექსანდრე—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ზარქუა თამაზ—ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
კვარაცხელია გელა—ბლოკი „თავისუფლება".
ჯინჯოლია ეთერ —სახალხო ფრონტი.

**კახათი**
**საარჩევნო უბანი № 16**

თავმჯდომარე: ჩახაია ზურაბ—ჰელსინკის კავშირი.
მოადგილე: ყალიჩავა თემურ—საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.
მდივანი: შეჯანია გულნაზი—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები:

კაკულია თამაზ —მ. კოსტავას საზოგადოება.
ჭანტურია ფლორა—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი,
სვირავა კლარა —ეროვნული ფრონტი —რადიკალური კავშირი.
ხუფენია ჯულიეტა—საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
ქარდავა მადონა—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
მამფორია რეზო—ბლოკი „თავისუფლება".
ჩიქობავა ნუნუ —სახალხო ფრონტი.

**ქვემო კახათი**
**საარჩევნო უბანი № 17**

თავმჯდომარე: კაკულია ბესო —მ. კოსტავას საზოგადოება.
მოადგილე: კაკულია რამაზ—საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.
მდივანი: მოსია ემა—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წევრები:

ჩახაია ზურაბ—ჰელსინკის კავშირი.
შონია ფირუზა —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.
ფარულავა თენგიზ— საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.
შენგელია ეთერი—უპარტიო
თოდუა მანანა— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.
მამფორია ირინა—ბლოკი „თავისუფლება".
მელქაძე როლანდ—სახალხო ფრონტი.

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

(გაგრძელება)

## კ ო კ ი
### საარჩევნო უბანი №18

**თავმჯდომარე:** გაბუნია გენადი —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ჩიქვა დალილა— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი** ნარმანია მაყვალა— მ. კოსტავას საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

თოდუა ფრიდონ —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

ხუბუა ვახტანგ— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ბიძინაშვილი თინათინ — ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

ნარმანია მირიანი—ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ნარმანია ჯამბულ —ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ნაყოფია ჯანდრი— სახალხო ფრონტი.

## კ ო რ ც ხ ე ლ ი
### საარჩევნო უბანი №19

**თავმჯდომარე:** რაფავა ნანა —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ლაგვილავა ამირან —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**მდივანი:** თორდია თინა— წმ. ილია მართლის საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მანია გურამ —მ. კოსტავას საზოგადოება.

ლაგვილავა კლიმენტი—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ქობალია შორენა —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ლაშხია ტარიელ —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ჩხეტია ფრიდონ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

დაგარგულია ნაირა—ბლოკი „თავისუფლება".

ქობალია გია—სახალხო ფრონტი.

## ნ ა ც ა ტ უ
### საარჩევნო უბანი №20

**თავმჯდომარე:** რაფავა მალხაზ —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** თოლორაია თენგიზ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** ლაგვილავა ნანი — მ. კოსტავას საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

თოლორაია გიგლა —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

აკობია ოთარ — წმ. ილია მართლის საზოგადოება.

თოლორაია ვაჟა— საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

ლაშხია ტარიელ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

გოგია კლარა —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

კვარაცხელია ელისო—სახალხო ფრონტი.

## ნ ა რ ა ზ ე ნ ი
### საარჩევნო უბანი №21

**თავმჯდომარე:**— ახალაია მხარ— ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ჩაგინავა შავლეგო —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

**მდივანი:** არჩაია ინგა — საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

თოდუა ბონდო —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

ახალაია თემურ —მ. კოსტავას საზოგადოება.

ნარსია ვალერიან —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

პაჭკორია თენგიზ —საქართველოს ეროვნული ფრონტი— —რადიკალური კავშირი.

არონია ციალა—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

ნემსაძე გია— ბლოკი „თავისუფლება".

შენგელია თამაზ —საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## ხ ე ც ე რ ა
### საარჩევნო უბანი №22

**თავმჯდომარე:** ლომაია ბორის—ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** შონია გელა — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**მდივანი:** ბერიშვილი თამაზ —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წევრები**

თოდუა მალხაზ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

მკადუა ლონგინოზ —მ. კოსტავას საზოგადოება.

ბეჟვაია ნუგზარ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

დარასელია დაზმირ—საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

მოლაშხია გენადი—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

## ო დ ი შ ი
### საარჩევნო უბანი №23

**თავმჯდომარე:** ანთია ლალი —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ქობალია თემურ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** გერლიანი ავთანდილ საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ბოკუჩავა სერიოჟა —მ. კოსტავას საზოგადოება.

პურცხვანიძე მირო —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

სართანია ჯემალ —საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

ვაწაძე ლუდუკი— საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ნანავა იურა—ბლოკი „თავისუფლება".

არქელიანი ედიშერ —სახალხო ფრონტი.

## კ ა ლ ი ნ ი ნ ი
### საარჩევნო უბანი №24

**თავმჯდომარე:** ჯიჭონაია გურამ —მ. კოსტავას საზოგადოება.

**მოადგილე:** სართანია ტატაჩი —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** აბშილავა იაშვ— წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ბულია სოსო —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

სართანია ტარიელ საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

სართანია სერგო— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ფაცურია თამაზ— საქართველოს ეროვნულ - ლიბერალური კავშირი.

ხარებავა ფელიქს— საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ჩილაჩავა ზურაბი —სახალხო ფრონტი.

## ო რ ს ა ნ ტ ი ა
### საარჩევნო უბანი №25

**თავმჯდომარე:** ხუფაცარია ზურაბ —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ჩიქვა მურთაზ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** წყაბელია ნათელა— საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ხაზალია კოტე—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

გელენავა დენის —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

პერტაია ვახტანგ —ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ქვარაია ვალერი —ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ლაგვილავა რამინ—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

საჯაია ზურაბ —მ. კოსტავას საზოგადოება.

## ო რ უ ლ უ
### საარჩევნო უბანი №26

**თავმჯდომარე:** გვაჯაია ლერი —ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ჭედია ფელიქს —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** ქვარაია მარინა — საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მამფორია გულად —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წურწუმია ბესიკ —მ. კოსტავას საზოგადოება.

მამფორია ზურაბ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

წურწუმია იურა —საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

მაქაცარია ბადრი —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

კვერნაძე ლევან—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## ყ უ ლ ი შ კ ა რ ი
### საარჩევნო უბანი №27

**თავმჯდომარე:** ხარებავა გიგლა—მ. კოსტავას საზოგადოება.

**მოადგილე:** აბსავა აზა— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** როგავა მაია — წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მაქაცარია კობა —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ლოგუა შერმადინ —ჰელსინკის კავშირი.

ძიგუა ზურაბ —საქართველოს ეროვნული ფრონტი —რადიკალური კავშირი.

თირქია შოთა —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული კავშირი.

თირქია ნუგზარ— საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ლაშხია ზურაბ —სახალხო ფრონტი.

## ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი
### საარჩევნო უბანი №28

**თავმჯდომარე:** ქირია ზურაბ —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**მოადგილე:** უბილავა რაიდი— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** ზაქარაია მზია — ჰელსინკის კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

უბილავა იზოლდა —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ზაქარაია ალიოშა —მ. კოსტავას საზოგადოება.

ფარცვანია ფრიდონ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

შამუგია ზურაბ— საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

შამუგია თემურ —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ცანავა გივი—ბლოკი „თავისუფლება".

ქარდავა ნუგზარი— საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## რ ი ყ ე
### საარჩევნო უბანი №29

**თავმჯდომარე:** გოგია მიმოზა —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**მოადგილე:** ძიმციეიშვილი ელგუჯა—საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

**მდივანი:** გოგია ქეთინო, —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მარღია ზურაბი —ჰელსინკის კავშირი.

სამუშია სოსო —მ. კოსტავას საზოგადოება.

კვარაცხელია ლიონი— საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

გოგია ვახტანგ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ფაცაცია თომა—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

გვაძაბია გიორგი—საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

## რ უ ხ ი
### საარჩევნო უბანი №30

**თავმჯდომარე:** თოდუა კარლო— მ. კოსტავას საზოგადოება.

**მოადგილე:** ბულია რევაზ— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** ნანავა ქეთინო — წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

გოგოხია ნინო— ჰელსინკის კავშირი.

თოდუა ვალერ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

თოდუა ხვიჩა—საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

თოდუა ეკატერინე— საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ჯანაშია თემურ—საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

მაქაცარია მამუკა—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## შ ა მ გ ო ნ ა
### საარჩევნო უბანი №31

**თავმჯდომარე:** წყაროზია გულნაზი —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**მოადგილე:** ხუბუა მამუკა— ჰელსინკის კავშირი.

**მდივანი:** აქუბარდია გულნარა— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ჟურჯაია სოსო— წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

წყაროზია თორნიკე—მ. კოსტავას საზოგადოება.

ლურწკაია კაკო —საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალური კავშირი.

აქუბარდია ომარ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

შენგელია რევაზ —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

წურწუმია დათო—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## ჩ ხ ო რ ი ა
### საარჩევნო უბანი №32

**თავმჯდომარე:** ჩაჩიბაია ოთარ—ჰელსინკის კავშირი.

**მოადგილე:** ძიმციეიშვილი ოთარ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

**მდივანი** —ხარებავა მზია— მ. კოსტავას საზოგადოება.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

თათარიშვილი თამარ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

შონია ველოდი—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

ფიფია მურმან —საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

გოგოხია ედემი—საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

გაბუნია ზაური —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

კუხალეიშვილი ირმა—ბლოკი „თავისუფლება".

ცხადაია ალექსანდრე —სახალხო ფრონტი.

## ტ ყ ა ი ა
### საარჩევნო უბანი №33

**თავმჯდომარე:** კეკუტია ედემი— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**მოადგილე:** არდია თემურ— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

**მდივანი:** აბრალავა ლამარა —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ჩქვანავა ელდარ —ჰელსინკის კავშირი.

მიქავა სულხან— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ქარაია მელოსი —მ. კოსტავას საზოგადოება.

აბრალავა ზურაბ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

სამუშია ქეთინო —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ფიფია მამუკა—საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

## ზ ე დ ა ე წ ე რ ი
### საარჩევნო უბანი №34

**თავმჯდომარე:** ჩხეტია რაფიელი— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

**მოადგილე**— თორდია ჯემალ ჰელსინკის კავშირი.

**მდივანი:** ჰაბუკიანი მანანა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ზერაძე რობერტ—მ. კოსტავას საზოგადოება.

თორდია სოსო —საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

თორდია ემზარ—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

თორდია თამაზ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

(დასასრული) —

თორდია აბელ —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

ციმინტია ჯონი —საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

# საქართველოს. რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

**ცაიში**

**საარჩევნო უბანი №35**

თავმჯდომარე: ჯანაშია ზურაბი —ჰელსინკის კავშირი.

მოადგილე: სართანია მერაბი —საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი: ნემსაძე ნანი—ბლოკი „თავისუფლება".

**წევრები:**

თოდუა თემური—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

ქარჩავა ვახტანგ —მ. კოსტავას საზოგადოება.

ხაზალია გოგი — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.—

ჯღარკავა კოტე— საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ალმასია თენგიზ —საქართველოს ეროვნულ - ლიბერალური კავშირი.

ჯგერენაია როინ— საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

როგავა გვანჯი—სახალხო ფრონტი.

**ჭაქვინჯი**

**საარჩევნო უბანი №36**

თავმჯდომარე: გაბელია ილო წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

მოადგილე: ჟორჟოლაძე მარინა— საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი: თოდუა იზო—ჰელსინკის კავშირი.

**წევრები:**

ჩუხუა გურამი—მ. კოსტავას საზოგადოება.

ჯიქია პიპიკო —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ჩუხუა დალი— საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი.

ბარამია გონელი—საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ბარამია ნოდარ— საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ივარდავა ვალიკო— სახალხო ფრონტი.

**ჭითაწყარი**

**საარჩევნო უბანი №37**

თავმჯდომარე: შენგელია ვახტანგ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

მოადგილე: მესხია თენგიზ—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი: მოსია აზა —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წევრები:**

ჩარგაზია თამაზ —ჰელსინკის კავშირი.

ჯიქია რეზო —მ. კოსტავას საზოგადოება.

წულაია ჯანელ —საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

შამუგია დათო— საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

გეგეჭკორი ვალიდა —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

ავალიანი ციალა —ბლოკი „თავისუფლება".

ქვარაია გულიკო —სახალხო ფრონტი.

**ჭკადუაში**

**საარჩევნო უბანი №38**

თავმჯდომარე: შონია გოგი —ჰელსინკის კავშირი.

მოადგილე: —ჭითანავა გია—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი—ჭითანავა თამაზ—მ. კოსტავას საზოგადოება.

**წევრები:**

ჩემია მამუკა —წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

მანია იაზონი—ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ჯინჯოლავა ამბაკო— საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ანთია გრიშა —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

მანია თამაზ —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული კავშირი.

თორდია ავთანდილ —სახალხო ფრონტი.

**ჯიხაშკარი**

**საარჩევნო უბანი №39**

თავმჯდომარე —ებრალიძე ნანა— ჰელსინკის კავშირი.

მოადგილე: ზარანდია გელა—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი: ზარანდია მზია—წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

**წევრები:**

ყურუა ჯამბულ —ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

შენგელია ფრიდონ— საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ზარანდია ვახტანგ —მ. კოსტავას საზოგადოება.

ებრალიძე პაატა —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

კვარაცხელია [illegible]— საქართველოს [illegible]ტიანული პარტია.

აკობია ბეჟანი —სახალხო ფრონტი.

**ურთა**

**საარჩევნო უბანი №40**

თავმჯდომარე— ცაიშვილი დალი— წმინდა ილია მართლის საზოგადოება.

მოადგილე: პაჭკორია ტრისტანი—საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტია.

მდივანი: ქირია ინგა —ჰელსინკის კავშირი.

**წევრები:**

ქირია მარინა— მ. კოსტავას საზოგადოება.

პაჭკორია ნინო— ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ქირია ზური —საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ქირია მიხეილ —საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი.

ქირია მამუკა —საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია.

დაგარგულია ფატიმა —ბლოკი „თავისუფლება".

ჟვანია ირაკლი— სახალხო ფრონტი.

ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ჯგუშია, მდივანი: დ. ჭითანავა.

## ოპერატიული ვითარება ზუგდიდში

## 1—9 მაისი

სახელმწიფო ქონების ქურდობის ფაქტზე დაკავებულ იქნა ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში მცხოვრები, იქვე კოლმეურნეობაში მომუშავე, 1967 წელს დაბადებული კახაბერ კაკალის ძე ქარჩავა.

მოქალაქეთა პირადი ქონების უკანონოდ დაუფლების ფაქტზე დაკავებული არიან შემდეგი პირები: კობა ალექსანდრეს ძე ჩიტაია—დაბადებული 1974 წელს, ინგირის პროფსასწავლებლის მოსწავლე, ახალსოფლის მკვიდრი; ბენო ჟორჟის ძე ნოდია—დაბადებული 1973 წელს, კოოპერატივის მუშა, ქალაქ ზუგდიდის გაგარინის ქუჩა №179-ში მცხოვრები; ზაზა რევაზის ძე ჯიქია—დაბადებული 1974 წელს, უმუშევარი, მცხოვრები კოლხეთის ქუჩა №99-ში.

მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობისათვის დააკავეს ბაკურიანის ქუჩა №23-ში მცხოვრები, ცოლიაშვილიანი, კახაბერ ფრიდონის ძე თორდია.

ვაჭრობის კანონიერების გადამოწმების მიზნით შემოწმდა რამდენიმე კომერციული მაღაზია, რა დროსაც სპეკულაციაში მხილებულ იქნენ: კომერციული მაღაზია „ნატვრის თვალის" გამყიდველი თორნიკე ომეხის ძე დაგარგულია, კომერციული მაღაზია „იზაბელას" გამყიდველი გიგლა დაზმირის ძე ფიფია. სოფელ ჭკადუაში ტერიტორიაზე მდებარე კომერციული მაღაზიის მუშაკი როლანდი გივის ძე არჩაია, ენგურქაღალდკომბინატის დასახლების ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული მაღაზიის გამყიდველი ლარისა შელხაზის ასული ხამზატოვა.

სპეკულაციაში მხილებულ იქნენ: თამარ სარდიონის ასული ჭკადუა, ჩხორიელი ბონდო გერვასის ძე ალშიბაია, გალის რაიონში მცხოვრები ომარ დარსანია, დარჩელელი კაკო სიჭინავა და ჟორჟი აბსავა.

თითოეულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სწარმოებს მოკვლევა.

## ს. რ. როგავა

გარდაიცვალა ფაშისტურ გერმანიასთან ომის აქტიური მონაწილე, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენისა და მრავალი მედლის მფლობელი საშა (ალექსანდრე) როსტომის ძე როგავა.

იგი დაიბადა 1912 წელს გრიგოლიშში. უმაღლესი განათლებით, პედაგოგიურ მუშაობას იწყებს ხიბულის დაწყებითი სკოლის გამგედ. სხვადასხვა დროს მუშაობდა ზუგდიდის გლეხთა სკოლის კულტურის განყოფილების გამგედ, ზუგდიდისუსინათლოთა საზოგადოების კულტმუშაკად. 1941-45 წლებში მონაწილეობდა გერმანიის ომში. არმიიდან დემობილიზებული ინიშნება ზუგდიდის რაიაღმასკომის განყოფილების გამგედ, რაიაღმასკომის ინსტრუქტორად. სხვადასხვა დროს მუშაობდა გრიგოლიშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ, ქალაქის დასუფთავების სამმართველოს უფროსად და სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, საუკეთესო მოქალაქე და მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს თანამოსაქმეების, მეგობრების, ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი ა.ჯ. ჭანტურია.

---

**საქართველოს რესპუბლიკის გაზის სახელმწიფო კონცერნის ტრესტ „ზუგდიდგაზის" ადმინისტრაციის განცხადება**

ტრესტთან არსებულ სასწავლო პუნქტში იწარმოებს გაზის ხელსაწყოების უსაფრთხო ექსპლოატაციის პასუხისმგებელ პირთა დაბალი, საშუალო და მაღალი წნევის ქვაბების მემანქანეთა და თხევადი გაზით მომუშავე მანქანების მძღოლთა მომზადება, რის შედეგადაც მიეცემა შესაბამისი მოწმობები. იმ პირებს, რომლებიც არ გაივლიან მომზადების კურსებს, შეუწყდებათ გაზით მომსახურება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ ტრესტ „ზუგდიდგაზის" სასწავლო პუნქტს.

გაზის ტრესტის ადმინისტრაცია.

---

მეუღლე მაქსიმე, შვილები: ჟუჟუნა, ციალა, ანტიფა, ჟორა. გენიოზი. ლეონტი ფონიები. და დუშა რაფავა. რძლები ნადია ფონია, ვერა რაფავა, თინა, ნათელა, მზია. ლამარა ფონიები, სიძეები კოტე გუგუნავა, ჯამბულ გადელია, ვეფხვია მონიავა, თენგიზ თორდია, შვილიშვილები: ნელი, დალი. ქეთინო, ლორიტა. ნონა, ვახტანგი, გაიოზი, ბადრი. თენგიზი. გოჩა. ზვიადი ფონიები. აზა. იზა. გიზო გეთიები. გურანდა, გია გუგუნავები, ძმისშვილები არჩილი, კლიმენტი, გრამი. კოტე. იგორი. ამირანი. ვალერი. ჯემალი, ჯანიკო. მზიური. ზამერა, ზაირა რაფავები, დისშვილები: მაცი, გურამი ფიფიები. რევაზი, ნუგზარი კუკავები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ანიჩქა (ცოფო) გვიტის ასულ რაფავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18 მაისს. დაკრძალვა 21 მაისს ახალსოფელში. გამოსვენება წერეთლის 12.

---

მეუღლე კაპიტონი, რძალი მანანა, პაჭკორია, შვილები ცინარა, ლუარა გულნაზი, ლუიზა. სიძეები როინ წირღვავა, ედემ საჯაია, ვახტანგ აფხაზავა, ზაურ შენგელია, გუგუშა ცაავა, კარლო ჭანტურია, დები აფინო, შურა, ვარდიშა, ლორჩოშვილები, მულები: ციცინო, მერი. დინარა, მაზლები: დურუ გრიშა მამფორიები ოჯახებით და უახლოესი ნათესავებით იუწყებიან

**თინა ივანეს ასულ ლორჩოშვილი-მამფორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18. 19 მაისს. დაკრძალვა 21 მაისს. გამოსვენება ზუგდიდი, პრავდის 26-დან.

---

რაისა კუტალია ოჯახით თანაუგრძნობს დისშვილს სვეტლანა თურმანიძეს მეუღლის

**ანატოლ ვლადიმერის ძე ხოფერიას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ეთერი, შვილები: ქეთინო. თამარი. მანანა, ნონა. და შურა, სიძეები ჰამლეტი ასათიანი. მურთაზ აბულაძე, გული ჯალალონია, ბოჩია კვარაცხელია. შვილიშვილები: ლადო, ნინო. სალომე, ანუკი, გოგა იუწყებიან

**ვლადიმერ (ვალოდია) ყირიმის ძე გამსახურდიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19, 20 მაისს. დაკრძალვა 21 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქუჩა 100.

---

აკად. ნ. ანთელავას სახელობის ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ადმინისტრაციის თანამშრომლები იუწყებიან

**შოთა ბოჩოს ძე ლაგვილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

აკად. ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს 4ვ-ბის ბლოკის თანამშრომლები იუწყებიან

**შოთა ბოჩოს ძე ლაგვილავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სარაიონთაშორისო სანიტარულ-სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი იუწყება ვეტერანი მძღოლის

**შოთა ბოჩოს ძე ლაგვილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

---

სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**შოთა ბოჩოს ძე ლაგვილავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჩხორიის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან

**ავთანდილ სარდიონის ძე ვაბუნიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 19, რადიორედაქციის 2 17 00.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2 23 07, ტირაჟი [illegible] შეკ. [illegible]